საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

ნოემბერი, 2025

1

ევროკომისია

ევროკომისიის 2030 წლის სამომხმარებლო დღის წესრიგი - მომხმარებელთა დაცვა, კონკურენტუნარიანობა და მდგრადი ზრდა

ევროკომისიამ მიიღო 2030 წლის სამომხმარებლო დღის წესრიგი, სტრატეგიული გეგმა ევროკავშირის სამომხმარებლო პოლიტიკისთვის მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. ერთიან ბაზარზე 450 მილიონი მომხმარებელია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროკავშირის ეკონომიკაში. ახალი დღის წესრიგი მიზნად ისახავს მომხმარებელთა ნდობის გაძლიერებას, სამართლებრივი გარკვეულობის უზრუნველყოფას, კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას და ადმინისტრაციული დატვირთვის შემცირებას ბიზნესებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლის დაცვის, კონკურენტუნარიანობის, სოციალური სამართლიანობის და მდგრადი ზრდის განმტკიცებას.

ძირითადი პრიორიტეტები:

1. ერთიანი ბაზრის სრულყოფა მომხმარებლებისთვის

გეგმაში გათვალისწინებულია საზღვარგარეთ ბარიერების მოცილება, ტარიფების შედარების გამარტივება, მოგზაურობის დაჯავშნის ხელშეწყობა და საზღვარგარეთ ფინანსურ სერვისებზე წვდომის გაძლიერება, მათ შორის საბანკო და ინვესტიციური ანგარიშების გახსნის შესაძლებლობა სხვა წევრ სახელმწიფოში.

2. ციფრული სამართლიანობა და მომხმარებელთა დაცვა ონლაინ

2026 წელს კომისია შემოიტანს ციფრული სამართლიანობის აქტს (Digital Fairness Act), რომელიც გაძლიერდება მომხმარებელთა დაცვას ონლაინ გარემოში, უზრუნველყოფს არასამართლიანი პერსონალიზაციისა და მზარდი დამოკიდებულების გამომწვევი მახასიათებლების კონტროლს, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. აქვე გამარტივდება რეგულაციები ბიზნესისთვის და გაუმჯობესდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომხმარებელთათვის.

3. მდგრადი მოხმარების წახალისება

კომისია მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოებს მომხმარებლის კანონების აღსრულებაში, ხელს შეუწყობს მდგრადი პროდუქტების მიწოდებას, ასევე ცირკულარულ ეკონომიკას, მეორადი ბაზრებისა და ინოვაციური სტარტაპების განვითარებას.

4. ეფექტური კონტროლი და საჩივრების განხილვა

ელექტრონული კომერციის ზრდის პარალელურად გაიზარდა არასანდო პროდუქციის გამოჩენა, განსაკუთრებით მესამე ქვეყნებიდან. კომისია გეგმავს Consumer Protection Cooperation Regulation-ის გადახედვას, General Product Safety Regulation (GPSR) -ის ეფექტური აღსრულებას და ბაზრის ზედამხედველობის გაძლიერებას, რათა დაცული იყოს მომხმარებლები და კანონმორჩილი ბიზნესი.

[წყარო:]

1

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

საწვავის ბაზარი კორსიკაში

საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ TotalEnergies Marketing France-ს, Rubis Group-ის ორ კომპანიასა და EG Retail-ს ანტიკონკურენტული შეთანხმებისთვის 187,5 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

2021 წლის 15 დეკემბერს კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა კორსიკაში საავტომობილო საწვავის დისტრიბუციის სექტორში არსებული სავარაუდო დარღვევების შესახებ. 2022 წლის სექტემბერში Ferrandi-ს მიერ შეტანილი საჩივრის მიღების შემდეგ, უწყებამ საკუთარი ინიციატივით დაწყებული მოკვლევა და აღნიშნული საჩივარი ერთ საერთო წარმოებად გააერთიანა.

გადაწყვეტილების თანახმად, დაჯარიმდნენ Dépôts Pétroliers de la Corse-ის (DPLC) აქციონერი კომპანიები, რომლებიც კორსიკის ბაზარზე საწვავის მიწოდებით, შენახვითა და დისტრიბუციით არიან დაკავებული. მათ შორის არსებობდა წერილობითი შეთანხმება, რომელიც საწვავის საცავებში *გასვლის უფლების* მხოლოდ აღნიშნულ კომპანიებზე რეზერვირებას ითვალისწინებდა.

აღნიშნული შეთანხმების შედეგად, DPLC-ის აქციონერებმა შექმნეს ანტიკონკურენტული პრაქტიკა, რომელმაც შექმნა ბაზრიდან არა აქციონერი კონკურენტების განდევნის საფრთხე. კონკურენტები იძულებული იყვნენ საწვავი შეეძინათ იმ პირობებით, რომლებიც მათ კონკურენტებს ჰქონდათ დაწესებული, ასევე მათზე მდგომარეობდა დამატებითი ხარჯი დაგენერირებული დანამატების (markup-ების) დაგროვების გამო.

სიტუაციამ შეამცირა კონკურენტების ბაზარზე ეფექტიანად ოპერირების შესაძლებლობა და საბოლოოდ დააზიანა მომხმარებლები, რადგან საწვავის ფასები კონკურენციის პირობების არარსებობის გამო გაიზარდა.

კორსიკაში საწვავის დისტრიბუციის ბაზარი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, წარმოდგენილია მხოლოდ სამი ოპერატორი (Total, Rubis/Vito და Esso/Ferrandi). კორსიკაში ავტოგასამართი სადგურების ქსელი არ განიცდის სუპერმარკეტებისა და სხვა მსხვილი საცალო ოპერატორების კონკურენტულ ზეწოლას. ამ გარემოებათა ერთობლიობამ არსებითად იმოქმედა მოსახლეობაზე, რადგან კორსიკის მკვიდრთა ყოველდღიური გადაადგილება განსაკუთრებით არის დამოკიდებული საავტომობილო ტრანსპორტზე.

ჯარიმების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 187 490 000 ევრო.

წყარო:

იტალიის კონკურენციის უწყება

Wizz Air-ს 500 000 ევროს ოდენობის ჯარიმა დაეკისრა

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანია Wizz Air Hungary Ltd-ს 500 000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა, მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ კომპანიამ დაარღვია მომხმარებელთა კოდექსის მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკისა და არაკეთილსინდისიერი ხელშეკრულებითი პირობების ნაწილში.

მოკვლევა შეეხებოდა ყოველწლიურ სააბონენტო მომსახურებას „Wizz All You Can Fly“, რომელიც აბონენტებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ ავიაკომპანიის ყველა საერთაშორისო მიმართულებით ერთიანი, ფიქსირებული საფასურით -599 ევროს ოდენობით (პირობითი პრომო პერიოდის განმავლობაში -499 ევრო).

დადგენილი დარღვევების შესაბამისად, კომპანიამ მომსახურების სარეკლამო კამპანიებში პაკეტი წარმოაჩინა როგორც შეუზღუდავი სააბონენტო შეთავაზება, თუმცა მომხმარებლებისთვის სათანადოდ არ უზრუნველყო დროული, ნათელი და სრული ინფორმაცია მისი გამოყენების არსებულ შეზღუდვებზე. შედეგად, აბონენტებისთვის მიწოდებული წინასახელშეკრულებო ინფორმაცია იყო არასრული და არაზუსტი, კერძოდ: ფრენების დაჯავშნის ვადებთან და წესებთან მიმართებით; თითოეულ რეისზე აბონენტებისთვის განკუთვნილი სავარძლების რაოდენობასა და ხელმისაწვდომობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით; მომსახურების გამოყენების დამატებით შეზღუდვებთან დაკავშირებით.

უწყებამ ასევე დაადგინა, რომ ზოგადი პირობები არაკეთილსინდისიერად ითვლებოდა, ვინაიდან ისინი კომპანიას ანიჭებდა უფლებას, მომსახურების პირობები ერთპიროვნულად შეეცვალა ან მომსახურება შეეწყვიტა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სათანადო გარანტიების გარეშე. აღნიშნული დებულებები ზღუდავდა როგორც აბონენტთა პროპორციული ანაზღაურების მიღების უფლებას, ასევე მომსახურების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში აბონენტის მიერ ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესაძლებლობას, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც მომსახურება შეეხებოდა მომხმარებლის მიერ შერჩეულ საბაზისო აეროპორტს.

აღნიშნულმა პირობებმა აბონენტთა უფლებებსა და ვალდებულებებს შორის არსებითი დისბალანსი შექმნა, რაც უშუალოდ არღვევდა მომხმარებელთა კოდექსის მოთხოვნებს.

საბოლოო გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად, ორგანომ ავიაკომპანიას დაავალა, საკუთარი ვებგვერდის მთავარ გვერდზე განათავსოს შესაბამისი ამონარიდი მისი დადგენილებიდან.

[წყარო:]

2

იტალიის კონკურენციის უწყება

ღონისძიებები META-ს წინააღმდეგ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო

იტალიის კონკურენციის უწყებამ გააფართოვა Meta-ს ჯგუფის Meta Platforms Inc, Meta Platforms Ireland Limited, WhatsApp Ireland Limited და Facebook Italy S.r.l.-ის მიმართ დაწყებული საქმისწარმოების არეალი, რომლებიც შეეხება WhatsApp Business Solution Terms-ს. აღნიშნული პირობების თანახმად, 2025 წლის 15 ოქტომბრიდან WhatsApp პლატფორმაზე აიკრძალა Meta AI-ის კონკურენტული AI ჩატბოტების ინტეგრაცია.

უწყების შეფასებით, 2025 წლის 15 ოქტომბერს დანერგილ WhatsApp Business Solution Terms-სა და WhatsApp პლატფორმაში Meta AI-ის ახალი ინტერაქციული ინსტრუმენტებისა და ფუნქციების ინტეგრაციას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ჩატბოტების მომსახურების ბაზარზე წარმოების, ბაზარზე წვდომის ან ტექნოლოგიური განვითარებების შეზღუდვის გზით.

ხელშეკრულებითი პირობების ეს ცვლილებები შესაძლოა ხელს უშლიდეს AI ჩატბოტების ბაზარზე წარმოების ზრდას, ბაზარზე შესვლას ან ტექნოლოგიურ განვითარებას, რაც უარყოფითად აისახება მომხმარებელთა ინტერესებზე და შესაძლოა წარმოადგენდეს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლის სავარაუდო დარღვევას.

დამატებით, უწყება მიიჩნევს, რომ Meta-ს მიერ კონკურენციის წესების შესაძლო დარღვევას შეუძლია მნიშვნელოვნად და შეუქცევადად შეასუსტოს ბაზრის კონკურენტუნარიანობა, მით უფრო, რომ მომხმარებლებს, როგორც წესი, ნაკლები აქვთ მიდრეკილება სერვისის შეცვლისკენ, რაც კონკურენტული მომსახურებების არჩევის შესაძლებლობას ამცირებს.

[წყარო:]

3

იტალიის კონკურენციის უწყება

GOOGLE-ის სერვისები

იტალიის კონკურენციის უწყებამ უზრუნველყო მომხმარებლების ინფორმირებული და თავისუფალი თანხმობა Google-ის სერვისებთან დაკავშირებით

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაასრულა 2024 წლის ივლისში დაწყებული მოკვლევა Google-ის მიმართ, რომელიც ეხებოდა მომხმარებლის თანხმობის მოთხოვნას სერვისებს შორის აქტივობების დაკავშირების („linking“) მიზნით.

უწყების ჩარევის შედეგად, Google შეცვლის თანხმობის ფორმატს და მომხმარებლებს მიაწვდის ნათელ და სრულ ინფორმაციას პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, მათ შორის იმ სერვისების ასორტიმენტსა და მოცულობაზე, სადაც თანხმობა მოიცავს მონაცემების კომბინირებას ან ჯვარედინ გამოყენებას, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის სერვისებში (მაგალითად, Gemini).

კომპანია ასევე უზრუნველყოფს მკაფიო განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მომხმარებლებს შეზღუდონ თანხმობის მოცულობა კონკრეტული სერვისებისთვის.

[წყარო:]

1

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

დაზიანებული ან დაკარგული ბარგი? კომისია LOT POLISH AIRLINES-ის წინააღმდეგ

UOKiK-მა ანტიმონოპოლიური საქმისწარმოება დაიწყო LOT Polish Airlines-ის წინააღმდეგ. მოკვლევა ეხება კომპანიის პასუხისმგებლობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელებას და საჩივრების განხილვისთვის საჭირო ზედმეტი დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

მგზავრების მხრიდან მიღებული ინფორმაციით, პრობლემები შეიქმნა დაზიანებული ან გაყოვნებული ბარგის საჩივრების წარმოებაში. LOT-მა მომხმარებლებს აცნობა, რომ არ იღებს პასუხისმგებლობას ბარგის ნორმალური ცვეთის შედეგად გამოწვეულ დაზიანებაზე. გაყოვნებულ ბარგზე კომპანიის მიერ თანხის დაბრუნება შეზღუდულია მაქსიმუმ $100-მდე, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

კომპანიას არ შეუძლია მომხმარებლებს მისცეს ნაკლები უფლებები, ვიდრე ეს კანონით გათვალისწინებულია.

ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში, LOT Polish Airlines-ს დაეკისრება ჯარიმა, რომელიც შეადგენს წლიურ ბრუნვის მაქსიმუმ 10%-ს თითოეული დარღვევისთვის. UOKiK აგრძელებს სხვა ავიაკომპანიების საქმიანობის მონიტორინგს, მსგავსი მოკვლევები მიმდინარეობს Wizz Air-ის და Enter Air-ის წინააღმდეგაც.

[წყარო:]

2

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

ბავშვებზე მიმართული რეკლამა, UOKIK აკლიერებს მონიტორინგს სოციალურ მედიაში

UOKiK-ის პრეზიდენტი გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას სოციალურ მედიაში გავრცელებული მარკეტინგული შინაარსის გამო, რომელიც ბავშვებს აძლევს პირდაპირ ან ირიბ ზეწოლას პროდუქციის შეძენაზე. ამ კონტექსტში, დაიწყო წინასაგამოძიებო

პროცედურები ორი პოპულარული ინფლუენსერის Wojan-ისა და Palion-ის საქმიანობის შესასწავლად.

წინასწარი მონაცემებით, ინფლუენსერების ვიდეოებში და პირდაპირ ჩართვებში შეიძლება არსებობდეს ბავშვებისთვის პროდუქციის შეძენაზე პირდაპირი მოწოდება, რაც პოლონეთის კანონმდებლობით აკრძალული პრაქტიკაა. ასეთ შინაარსს ხშირად თან ახლავს სასწრაფოობის შეგრძნების შექმნა, შეზღუდული ხელმისაწვდომობის ხაზგასმა ან პროდუქციის არარეალური მახასიათებლების წარდგენა.

ბავშვებზე მიმართული რეკლამა მკაცრი რეგულაციის ქვეშაა. აკრძალულია ბავშვების პირდაპირი წახალისება პროდუქციის შეძენაზე. ახალგაზრდები ვერ ანხვავებენ რეკლამას ჩვეულებრივი კონტენტისგან, რაც ზრდის მანიპულაციისა და არასამართლიანი ზეგავლენის რისკს.

რეკლამა ითვლება აკრძალულად, თუ:

1. მიმართულია ბავშვებზე;

2. შეიცავს ბავშვების პირდაპირ მოწოდებას პროდუქტის/სერვისის შეძენაზე;

3. არის პირდაპირი და ინტენსიური დარწმუნების ფორმით.

პროდუქტის უბრალოდ აღწერა, რეკომენდაცია ან მოზრდილთა წახალისება ბავშვებისათვის განკუთვნილი ნივთების შესაძენად რეგულაციის დარღვევად არ მიიჩნევა.

რეკომენდაციები ინფლუენსერებისთვის:

- ✓ არ გამოიყენოთ ბავშვების პირდაპირი წახალისება პროდუქციის შესაძენად;
- ✓ არ გამოიყენოთ ბავშვების ნდობა;
- ✓ რეკლამა მკაფიოდ მონიშნეთ ;
- ✓ გამოავლინეთ სიფრთხილე კონტენტის შერჩევისას და თავიდან აიცილეთ მანიპულაციური ან საშიში მასალა;
- ✓ არ დააკნინოთ მშობლების ავტორიტეტი;
- ✓ ბავშვებზე მიმართულ კონტენტთან ერთად არ განათავსოთ არაჯანსაღი საკვების რეკლამა.

[წყარო:]

უნგრეთის კონკურენციის უწყება

GOOGLE-ის პლატფორმა, GVH იწყებს მოკვლევას

უნგრეთის კონკურენციის უწყება (GVH) იწყებს კონკურენციის ზედამხედველობის პროცესს Google-ის წინააღმდეგ. GVH-ს ეჭვი აქვს, რომ Google Ireland Limited ვერ უზრუნველყოფდა ფიშინგ რეკლამების სათანადო შემოწმებას Google Ads პლატფორმაზე, რის შედეგადაც ისინი გამოჩნდნენ ფასიანი რეკლამების სახით საძიებო შედეგების წამყვან პოზიციებზე. აღნიშნული პრაქტიკა მომხმარებლებს საფრთხის შემცველ ვებგვერდებზე აგზავნიდა და საბანკო მონაცემების შესაძლო მოპოვების რისკს ქმნიდა.

მოკვლევის თანახმად, Google ვერ ახორციელებდა სათანადო პროფესიულ სიფრთხილეს 2025 წლის 15 მარტის შემდეგ, ვერ აკონტროლებდა რეკლამების შესაბამისობას საკუთარი წესებისა და სამართლებრივი მოთხოვნების მიხედვით და ვერ ბლოკავდა ფიშინგ დომენებს დროულად, მიუხედავად მათი საფრთხის შემცველობის ცნობილი რისკისა.

შედეგად, MBH Bank Nyrt-ის სახელის გამოყენებით ყალბი საბანკო ვებგვერდები (მაგალითად, mbhbank.nu, mhbbauk.com, mhhbunk.com) გამოჩნდნენ საძიებო შედეგების წამყვან პოზიციებზე, ვიდრე მომხმარებლები ოფიციალურ ვებსაიტზე მივიდოდნენ.

GVH-ს შეფასებით, აღნიშნულმა კომერციულმა პრაქტიკამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანა მომხმარებლები და მათ ფინანსურ გადაწყვეტილებებზე მოახდენა გავლენა, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს არასამართლიან კომერციულ პრაქტიკას.

მოკვლევის დაწყება არ ნიშნავს, რომ დარღვევა დადასტურებულია. პროცესი მიზნად ისახავს ფაქტების შემოწმებას და, საჭიროების შემთხვევაში, დარღვევის დადგენას.

უნგრეთი ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ონლაინ და კიბერფროდები წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს მომხმარებლებისთვის და ბიზნესისთვის. ცენტრალური ბანკის (Magyar Nemzeti Bank – MNB) მონაცემებით, 2024 წელს ონლაინ თაღლითობამ და ფიშინგმა უნგრელ მოქალაქეებს 30 მლრდ ფორინტზე მეტი ზიანი მიაყენა.

[წყარო:]

1

ბელგიის კონკურენციის უწყება

ბელგიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო LIVE NATION-ის მიერ PUKKELPOP ფესტივალის შეძენის მოკვლევა

ეკონომიკის მინისტრის გადაწყვეტილებით, ბელგიის კონკურენციის უწყება (BCA) იწყებს მოკვლევას Live Nation-ის მიერ Pukkelpop ფესტივალის შეძენის საკითხზე.

Live Nation გლობალური ლიდერია გასართობ ბაზარზე და ბელგიაში საქმიანობს მუსიკალური ღონისძიებების ორგანიზების სექტორში. კომპანია ახორციელებს არტისტების მენეჯმენტს, უზრუნველყოფს მათ დაჯავშნას, მართავს მსხვილ ფესტივალებს (Rock Werchter, Dour, Graspop), ოპერირებს საკონცერტო სივრცეებში (AFAS Dome, Trixxo Arena, Forest National, Lotto Arena, Capitole Gent) და ფლობს ბილეთების გაყიდვის პლატფორმას Ticketmaster.

Pukkelpop ბელგიის ერთ-ერთი უმსხვილესი ფესტივალია, რომელიც ყოველწლიურად მასპინძლობს დაახლოებით 250 000 სტუმარს.

მოკვლევის მიზანია შეფასდეს, რა გავლენას მოახდენს აღნიშნული შესყიდვა ბელგიაში მუსიკალური ფესტივალების ბაზარსა და მთლიანად გასართობ სექტორზე, განსაკუთრებით Live Nation-ის მზარდი ეკოსისტემური როლიდან გამომდინარე.

მოკვლევას დამოუკიდებლად განახორციელებს BCA-ის საგამოძიებო და სადავო საკითხთა სამსახური. პროცესი ეფუძნება კონკურენციის კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს ანტიკონკურენტულ შეთანხმებებსა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

[წყარო:]

1

COMPETITION POLICY INTERNATION

ლას-ვეგასის ჯანდაცვის აღმასრულებელი ოფიცერი დაკავებულია ხელფასების ფიქსაციის სქემაში მონაწილეობისთვის

ნევადის ფედერალურმა ოლქის სასამართლომ ედუარდო („ედდი“) ლოპესს 40-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა და

მნიშვნელოვანი ფინანსური სანქციები დაუწესა, ნათქვამია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის განცხადებაში.

სასამართლომ ლოპესს დააკისრა ჯარიმა 550,000 აშშ დოლარის ოდენობით და რესტიტუცია 2.4 მილიონი დოლარის მეშვეობით, მის საექიმო სახლის მოვლის კომპანიის მყიდველისთვის. გარდა ამისა, 10.4 მილიონი დოლარი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ბიზნესის თაღლითურ გაყიდვასთან.

[წყარო:]

2

COMPETITION POLICY INTERNATIONAL

ფასების ფიქსირება შაქრის ინდუსტრიაში

სეულის ცენტრალური ოლქის პროკურატურის სამართლიანი კონკურენციის გამოძიების განყოფილებამ 26 ნოემბერს განაცხადა, რომ 13 პირი ბრალდებულია სამხრეთ კორეის შაქრის ინდუსტრიაში ფართომასშტაბიან ფასების ფიქსირების სქემაში მონაწილეობისათვის.

განცხადების მიხედვით, CJ CheilJedang-ის ყოფილი მთავარი აღმასრულებელი დირექტორი და Samyang Corporation-ის გენერალური დირექტორი ამჟამად დაკავებულები.

[წყარო:]

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა, იტალიის, უნგრეთის, ბელგიის, საფრანგეთის და პოლონეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე გადამოწმდა ევროკომისიის და Competition Policy International -ის ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"